პროცედურები სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ

ძალაში შესვლის თარიღი	24/04/2023
ხელმოწერა	დირექტორი დავით ოთიაშვილი

ალტერნატივა ჯორჯია

1. მიზანი

ამ დოკუმენტის მიზანია შეიქმნას ჩარჩო, რათა თავიდან იქნას აცილებული სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის და შევიწროების ინციდენტები "ალტერნატივა ჯორჯიაში" საქართველოს კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად. ეს პროცედურები მიზნად ისახავს შექმნას უსაფრთხო და პატივისცემაზე დაფუძნებული სამუშაო ადგილი ყველა თანამშრომლისთვის, მოხალისეებისთვის, ბენეფიციარებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

2. მოქმედების ფარგლები

ეს პროცედურები ვრცელდება "ალტერნატივა ჯორჯიასთან" ასოცირებულ ყველა პირზე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, თანამშრომლებზე, კონტრაქტორებზე, მოხალისეებზე, სტაჟიორებზე, ბენეფიციარებსა და ვიზიტორებზე.

3. განმარტებები

სექსუალური ექსპლუატაცია: მოწყვლადობის, სამსახურეობრივი ძალაუფლების ან ნდობის სექსუალური მიზნებისთვის ფაქტობრივი ბოროტად გამოყენება ან მცდელობა, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, სექსუალური ტრანზაქციებით ან ურთიერთობებით.

სექსუალური ძალადობა: სექსუალური ხასიათის ქმედებები, რომლებიც არღვევს ადამიანის სექსუალურ ავტონომიას ან ლახავს მის სექსუალურ ხელშეუხებლობას; ჩადენილია „ძალდატანებით", რაც გულისხმობს ფიზიკური ძალის გამოყენებას, ძალის გამოყენების მუქარას ან ისეთ იძულებას, რომელიც გამოწვეულია ძალადობის შიშით, თავისუფალი ნების უკანონოდ შეზღუდვით, ფსიქოლოგიური ზეწოლით, ერთი პირის მიერ სხვა პირის ან პირების მიმართ არსებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, ან მაიძულებელი გარემო პირობებით ბოროტად სარგებლობით; ან ჩადენილი ისეთი ადამიანის მიმართ, რომელსაც არ აქვს უნარი ან სურვილი, განაცხადოს ნამდვილი ნების გამომხატველი, ნებაყოფლობითი, სპეციალური

სექსუალურ შევიწროება: არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს პირის ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

4. კატეგორიულად აკრძალულია

- სექსუალური ექსპლუატაცია, ძალადობა ან შევიწროება ნებისმიერი ფორმით
- აკრძალულია შურისძიება იმ პირების მიმართ, რომლებიც აცნობებენ ორგანიზაციას სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის ან შევიწროების შემთხვევების შესახებ.

5. ანგარიშგების პროცედურა

პირები, რომლებიც განიცდიან სექსუალურ ექსპლუატაციას, ძალადობას ან შევიწროებას უნდა წახალისდნენ, რომ დაუყოვნებლივ და კონფიდენციალურად შეატყობინონ ინციდენტების შესახებ "ალტერნატივა ჯორჯიას" სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობისა და შევიწროების მართვის ცენტრს, რომლის კონსულტანტებიც არიან

- მზია ტაბატაძე, mzia@altgeorgia.ge
- ირმა კირთაძე, irma@altgeorgia.ge

ინციდენტის ანგარიშგება უნდა მოხდეს სხვადასხვა გზით, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლის/მამხილებლის კონფიდენციალურობას და შურისძიებისგან დაცვას. ანგარიშგების გზებია: „ალტერნატივა ჯორჯიას" ცხელი ხაზი, ელ-ფოსტა, ანონიმური ონლაინ ფორმა. ანგარიშგების გზებსა და ფორმებზე ინფორმაცია უნდა გავრცელდეს ორგანიზაციის პერსონალში, ბენეფიციარებსა და სხვა დაინტერესებულ პირებში.

6. გამოძიება და რეაგირება

სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის ან შევიწროების შესახებ მოხსენებულ ინციდენტებზე ჩატარდეს სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება და მიიღებული იქნას შესაბამისი დისციპლინური ზომები სექსუალურ შევიწროებაში მხილებულების მიმართ, საქართველოს შრომის კოდექსისა და "ალტერნატივა ჯორჯიას" პოლიტიკის შესაბამისად.

7. მხარდაჭერა და დახმარება

"ალტერნატივა ჯორჯია" უზრუნველყოს სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის ან შევიწროების შედეგად დაზარალებული პირების კონფიდენციალური დახმარების სერვისებზე წვდომას, კონსულტაციას და სამედიცინო დახმარებას. ორგანიზაცია ასევე უზრუნველყოს ტრენინგის და ცნობიერების ამაღლების პროგრამებს თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობისა და შევიწროების თავიდან აცილების მიზნით. "ალტერნატივა ჯორჯიას" პერსონალისთვის სავალდებულოა გაიაროს ონლაინ ტრენინგ-მოდულები "სექსუალური ძალადობა, ექსპლუატაცია და ტრეფიკინგი" ICMEC's eLOD პლატფორმაზე, რომელიც ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე არის უფასო. პროცედურებში შეტანილი ცვლილებებისა და შეთავაზებული ტრენინგების შესახებ ინფორმაცია უნდა დაეგზავნოთ ორგანიზაციის თანამშრომლებს, ბენეფიციარებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

8. რეგულაციებთან შესაბამისობა და განხილვა

დოკუმენტი და პროცედურების განახლება და გახედვა უნდა მოხდეს სულ მცირე 5 წელში ერთხელ საქართველოს კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

9. სამართლებრივი ჩარჩო

ეს პროცედურები შემუშავებულია საქართველოში მოქმედი კანონების შესაბამისად, მათ შორის: საქართველოს შრომის კოდექსი,[1] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია, [2] პეკინის მეოთხე მსოფლიო კონფერენცია ქალებზე,[3] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)[4], ძალადობის და შევიწროების წინააღმდეგ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია,[5] ევროკავშირის 76/207/EEC დირექტივა დასაქმების სფეროში ქალისა და კაცის თანასწორი მოპყრობის შესახებ,[6] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი[7]

---

[1] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=26

[2] Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women New York, 18 December 1979. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-elimination-all-forms-discrimination-against-women

[3] Fourth World Conference on Women, 4-15 September 1995, Beijing, China. https://www.un.org/en/conferences/women/beijing1995

[4] Action against violence against women and domestic violence, Istanbul Convention. https://www.coe.int/en/web/istanbul-convention

[5] C190 - Violence and Harassment Convention, 2019 (No. 190). https://webapps.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C190

[6] Council Directive 76/207/EEC of 9 February 1976 on the implementation of the principle of equal treatment for men and women as regards access to employment, vocational training and promotion, and working conditions. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31976L0207

[7] საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3